აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
7 თებერვალი, 2022

დადგენილება №31(21/22)
აგრარული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

აგრარული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში შეტანილ იქნას ცვლილება, რომლის საფუძველზე 13.2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

13.2. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ყველა პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი (არსებობის შემთხვევაში). სადისერტაციო საბჭოს არგუმენტირებული შუამდგომლობის საფუძველზე აკადემიური საბჭოს თანხმობით სადისერტაციო საბჭოში შეიძლება შეყვანილი იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. რომელიც არ არის ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი ან წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი.
სადისერტაციო საბჭოში შესაყვანად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
● დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი;
● ცნობა სამუშაო ადგილიდან, რომელიც ადასტურებს კანდიდატის მიერ დაკავებულ აკადემიურ ან სამეცნიერო თანამდებობას.
● CV

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი